

შინაური საქმეები.

ყოველ-კვირული გაზეთი

№ 20.

შასი ერთი შაური

წლიური შასი 4 მან.

წელიწადი შეეძვს.

კვირა, 9 ივნისი 1913 წელი.

შინაური: 1) საუბრები—ა. პ. 2) სიტყვა, თქმული აპრილის 23—დვ. კალისტრატე ცინცაძე. 3) სახელმწიფო სათათბირო. 4) კვირიდან-კვირამდე. 5) აკაკი წყალტუბოს აბანოებზე—ი. კორტელი. 6) სიტყვა აკაკის მიმართ—ბლ. მლ. ფანცხავა. 7) საეჭვო კითხვების განმარტება. 8) წერილი რედაქციის მიმართ—ბიჭია-ლევან ჯაბიძე. 9) მადლობის გამოცხადება.

ს ა უ ბ რ ე ბ ი.

ვითარ ჰგონებთ თქვენ ქრისტესთვის?

მღვდელა: ღმერთმა გამოუცხადა თავი თვისი კაცთა მრავლით სახით და მრავლით კერძო; უკანასკნელთა დღეთა კი მეტყოდა ჩვენ ძისა მიერ თვისისა! ძე ღვთისა ამ მიზნისთვის კაც იქმნა, მაშასადამე ღვთაებრივს ბუნებას მიუმატა კაცობრივი, რომ ჩვენ კაცთა გვასწავოს, ჩვენთვის იენოს და ამ რიგად, გვაცხოვნოს და ბედნიერ გვეყოს.

თამა: აი სწორედ არ უნდათ ირწმუნონ, რომ ძე ღვთისა დადიოდა ქვეყნად კაცის სახით; ძალიან ხშირად მსმენია: ნუ თუ შენა გწამს, რომ ქრისტე არის ძე ღვთისა?

ბატრე: ჩვენ უკვე ვიცით, ზოგიერთნი რათ ამზობენ თვითონ ესე და სხვებსაც უნდათ წაართვან რწმენა ქრისტესი, როგორც ძისა ღვთისა ცხოველისა. სახელდობრ, თუ იესო ქრისტე არის ძე ღვთისა, მაშინ უეჭველად საკიროსა დავემორჩილნეთ ქრისტიანობას, მისს მოძღვრებას და მცნებას, მაშინ აღარ შეიძლება დაუსჯელად მათი უარ-ყოფა. მაგრამ რადგანაც ქრისტიანობა ბევრთ აწუხებს, ამიტომ ცხადია, რათ უარ-ჰყოფენ ისინი ქრისტეს ღვთაებას.

მღვდელა: სრულიად მართალია, რომ მრავალნი უარ-ჰყოფენ ქრისტეს ღვთაებას, მიტომ რომ არ უნდათ ქრისტიანულად ცხოვრება; მაგრამ ამ შემთხვევაში, ისინი არც ქრის-

ტიანებად უნდა იწოდებოდნენ, რადგანაც თუ ქრისტე, მათის აზრით, არ არის ღმერთი, მათთვის სირცხვილია მის შკოლაში ყოფნა და მისის სახელის წოდება. ამ უარყოფას ღვთაებისას წინასწარ ხედავდა თვით იესოც და ამიტომ მრავალგზის უთქვამს თავის ღვთაებრივის ბუნების შესახებ. ერთხელ მან ჰკითხა მოციქულებს ვინად სთვლიან იგინი მას? როცა პეტრე მოციქულმა ყველა მოციქულების სახელით აღიარა მისი ღვთაება და სთქვა: შენ ხარ ქრისტე, ძე ღვთისა ცხოველისა, ქრისტეს არაფერი არ უთქვამს ამის წინააღმდეგ, არამედ მოიწონა და დაამტკიცა იგი. (მათ. 16, 16). ხოლო როცა იმავე კითხვაზე მიუგეს, რომ მას სთვლიან მხოლოდ დავითის ძედ, ის ამაზე არ დასთანხმდა და აჩვენა მათ თვისი ღვთაებრივი ბუნება (მათ. 22, 41). მალე შემდეგ ამისა, თვით მას ჰკითხეს, ვინ არს იგი. მაშინ იესო იდგა სინედრიონის სამსჯავროს და ამ სამსჯავროს პირველ თავმჯდომარეს წინაშე; მღვდელთმთავარმა მიჰმართა მას და ჰკითხა: შენ ხარ ქრისტე, ძე ღვთისა? ხოლო იესო მიუგო მას: შე ვარ და ამიერთგან იბილოთ ძე კაცისა მარჯვენით მჯდომარე ძლიერებათა და მომავალი ღრუბელთა ზედა ცისათა (მარკ. 14, 61-62). ეს პასუხი, რომელიც ახარებს ცასაც და ღედამიწასაც ისე ცხადი და ვადაწყვეტილი იყო, რომ არავის შესაჯულოვანს არ დარჩენია სულ მცირე ეჭვი. ისინი ყველანი დაეთანხმნენ იმ განაცხენს, რომელიც დაიმსახუ-

რა ამ პასუხით; ყველამ მათ სცნეს იგი თანამდებარდ სიკვდილისა (მარკ. 14, 64). ეხლა ვიკითხოთ: მართლა ჭეშმარიტება სთქვა იესომ? არის ის მართლა ქრისტი, ძე ღვთისა, რომლადაც მან აქ ფიციით გამოაცხადა თავი? ვის შეეძლო ამაზე ეკვის შეტანა? არც ერთს გონიერს, ჭეშმარიტების მაძიებელს კაცს არ შეუძლიან ერთი წუთითაც ეკვი იქონიოს იმაზე, რომ იესო ჭეშმარიტად არის ძე ღვთისა, მიტომ რომ ამისი თავმდებია 1) ისტორია, 2) მისი ზნეობრივი ხასიათი, 3) მისი მოძღვრება, 4) დასასრულ მისნი საქმენი.

შეტკრე: ძალიან საინტერესოა ყველა ამ საბუთების მოსმენა.

თამა: მეტ ნაწილად, ეს საინტერესოა ჩემთვის.

მღვდელა: ქრისტი არის ძე ღვთისა ბუნებით და არსებით, მაშასადამე არა იმ აზრით, როგორც ჩვენ ვიწოდებით ღვთის ძეებად, ე. ი. არა მადლით, არამედ ის არის ძე ღვთისა ბუნებით, არსებით. ამისი თავმდებია:

1) მისი ისტორია. ეს ისტორია აღის ადამ და ევამდე მიტომ რომ ქრისტი არის ჩვენი მაცხოვარი, ხოლო მაცხოვრის შესახებ უკვე ეუწყა ჩვენ წინაპრებს, მან უნდა შემუსროს თავი „გველისა“, ე. ი. სატანისა, მაშასადამე, ერთის უძლიერესის ქმნილებისა. (შექმნ. 3, 5). შემდეგ, მომავალი მაცხოვარი უნდა იყოს თესლი ცნობილის ქალისა, მაშასადამე ჭეშმარიტი კაცი. ამრიგად, მაცხოვარი სოფლისა უნდა იყოს ღმერთკაცი. ათას წელთა განმავლობაში სახე მომავლის მაცხოვრისა იხატება ჩვენს წინაშე ცხადად. ეს ჰქმნეს წინასწარმეტყველებმა, რომლებიც იძლეოდნენ მის შესახებ მომეტებულ წინასწარმეტყველებათა, ასე რომ ბოლოს და ბოლოს ჩვენ მივიღეთ მაზედ ცხადი და გარკვეული წარმოდგენა. ისინი ამბობენ მის შესახებ, რომ ის წარმოსდგება დაეითის ტომისგან და თესლისა, იშვება ქალწულისაგან, მისის შობის ადგილი იქნება ბეთლემში, იშვება სწორედ იმ დროს, როცა მოისპობა სკიპტრა იუდასაგან და გათავდება დანიელ წინასწარმეტყველის შეიდეფულნი, მომავალი მაც-

ხოვარი აუწყებს სიყვარულსა დიდსა ყოველთა ერთა, იქმს სასწაულთა დიდთა და დიდებით შვეა იერუსალიმში. ის გაყიდულ იქმნება ოცდაათ ვეცხლად და დაითმენს ნერწყვას და ყვრიმლის ცემას. ის ჩაირიცხება ბოროტმოქმედებში, იქნება შეურაცყოფილი და მიეცემა დაცინვას, მას დააღვეინებენ ძმარს და ნაღველს, განიყოფენ მის ტანისამოსს და განიღებენ მაზედ წილს. შემდეგ სიკვდილისა, განსვენებას ჰპოვებს მდიდრის საფლავში და ეს საფლავი დიდებულ იქნება; ის აღდგება მკვდრეთით და იუფლებს ზღვიდან ზღვაამდე. ყოველნი მეფენი ქვეყანისანი თაყვანს სცემენ მას და ერნი მსახურებენ მას.

ეხლა, თუ წარმოვიდგენთ ყოველსავე იმას, რასაც ამბობს ისტორია მომავალ მესიის შესახებ და შევადარებთ ამას იმასთან, რასაც ამბობენ იესოს შესახებ მხარებლები, განა არ უნდა ვთქვათ, რომ „ყველა ეს ცხადად ეკუთნის მას და აღსრულდა მაზედ“?

შეტკრე: მართალია; ეს იესო ნაზარეთით არის აღთქმული მაცხოვარი, რომელიც უნდა მოვიდეს, როგორც ღმერთი, რომ გამოგვისყიდოს ჩვენ და სახელი მისი „ემამნუილ“, რომელიც ნიშნავს: „ჩვენთანა არს ღმერთი“.

მღვდელა: როგორც ისტორია, ისე

2) მისი ზნეობრივი ხასიათიც საბუთია იმისი, რომ ის არის ძე ღვთისა. წარმართთა ფილოსოფოსებმა პლატონმა და ციცერონმა თვის გონებაში წარმოიდგინეს და აღწერეს იდეალური სახე მართლისა, იმისთანა ბრძენისა, რომელიც სრული იყო მათის წარმოდგენით. მაგრამ მათ ვერ გვაჩვენეს ვერც ერთი კაცი, რომელსაც ჰქონოდა ასეთი თვისებანი, არც იმედი ჰქონიათ იმათ, რომ ასეთი კაცი როდისმე გაჩნდებოდა ქვეყანაზე. მაგრამ იესო ქრისტეს სახით ჩვენ ვხედავთ ამ უებრო მაგალითს ბრძენისა და მართლისა და ამას ჩვენ მაშინვე ვგრძნობთ, როცა შევხედავთ მისს სახეს, შევალთ თუ არა საკურთხეველში. განცვიფრებით და განკვირებით ვდგევართ ჩვენ მის წინაშე და იმავე დროს ვგრძნობთ რაღაც საიდუმლო მიზიდვას მისკენ, რომ არ შეგვი-

ძლიან თვალი მოვაშოროთ. ასეთი კეთილშობილება სულისა, ასეთი ზნეობრივი სიმაღლე იხატება ჩვენს წინაშე იესო ქრისტეს ყოვლად წმიდა სახეში.

პეტრე: მხოლოდ ურწმუნონი არა გრძობენ არაფერს.

მღვდელა: ყველა კაცი განვითარებულია ამა თუ იმ მხრივ. როგორც ერთი არა ჰგავს ხოლმე მეორეს გარეგანი შეხედულებით და სულიერი ნიჭით, ისევე არსებითად ერთნაირი არ არის ზნეობრივი ხასიათი თვითეულისა. მაგრამ იესო ქრისტეში ჩვენ ვხედავთ მთელის კაცის იდეალს. ის არის ყოველი ყოველში. ყოველივე; რაც არის დიდი და კეთილშობილი კაცის არსებაში, ყოველივე ეს შეერთებულია მასში მშვენიერის ჰარმონიით. ის არ არის მარტო მოაზრე, არამედ — საქმის კაციც. მას შეუძლიან არა მარტო ქადაგება მალის მოძღვრებისა სიყვარულის და ტანჯვის შესახებ, არამედ მონაწილეობის მიღებაც თვითეულს გაჭირვებაში, უბედურებაში და ტანჯვაში.. ის ყველაში ერთნაირად დიდია, ერთნაირად წმინდაა დიდშიც, როგორც მცირეში, სიტყვაშიც და საქმეშიც, ცხოვრებაშიც და მისწრაფებაში. რა არის ქმნილებათა სიწმიდე შედარებით მის სიწმიდესთან? უდიდესნი წმიდანნი ჰქრებიან მის წინაშე, როგორც ვარსკვლავები მზესთან. ის არის ერთად-ერთი არსება, რომელსაც შეეძლო ეთქვა თავის შესახებ: ვინ თქვენგანმან მამხილოს მე ცოდვისათვის (იოანე 8, 46). მის წინააღმდეგ გამოჰყავთ ცრუ მოწინენი, რომ იპოვონ მიზეზი მის დასასჯელად; მაგრამ ის ისეთი ბრალდებულია, რომლის შესახებაც მსაჯული საჯაროდ აცხადებს: მე არცა ერთსა ბრალსა ვპაოვებ ამისათნა (იოანე 18, 38).

პეტრე: ამან უნდა აუხილოს თვალი ყველა ურწმუნოთა.

მღვდელა: მთელს მის არსებაში არ არის რა უფლების მოყვარებრივი, მედიდური, მაგრამ არც სისუსტე და გალიადება. ის მოწყალება პატარებისთვისაც და ღარიბებისთვისაც, სწულელებისა და ცოდვილებისათვისაც, მაგრამ

ის მთელი თვისის ძალით გამოდის ორგულთა ამაყოზისა, ბოროტებისა და ამპარტაუნების წინააღმდეგ. ის იბრძვის ქეშმარიტებისა და სიპართლისათვის და იმავე დროს მოწყალებასა და მოთმინებასაც იჩენს. ის მშვიდი და მდაბალია და ერთნაირად არ იჩენს არავის წინაშე პირმოთნეობას. ყოველთვის ერთი და იგივე მაღალი, აუღელვებელი წმიდა სიმშვიდე სულისა, ერთი და იგივე უვნებელობა, — ქეშმარიტად ჩვენს წინაშე სდგას ხასიათი უცხო ყოვლის საყვედურისა და ნაკლულევანებისაგან. თვით დავით შტრაუსიც კი, რომელიც ასე ბევრს სწერდა ქრისტეს ღვთაების წინააღმდეგ, უნდა გამოტეხილიყო, რომ „სარწმუნოებრივის, ე. ი. სულ უმაღლესის მხრივ, ქრისტეზე მაღლა არავინ არ აღმატებულა.“

ა. ზ.

(შემდეგი იქნება).

სახელმწიფო სათათბირო.

განსახილველია უწ. სინოდის ხარჯთაღრიცხვა. თავმჯდომარეობს ვოლკონსკი. მომხსენებელია სათათბიროს წევრი შეინი.

შეინა. ჯერ სინოდის კანცელარიის ხარჯთაღრიცხვას ეხება, შემდეგ ვადადის ქალაქისა და სოფლის სამღვდელოების ჯამაგირებით უზრუნველ ყოფაზე. და ამბობს: უწ. სინოდის სმეტის მე 7 § თხოულობს 600,000 მანეთს, ამას გარდა განზრახულია ახალი დამატებითი მოხსენება ამ კრედიტის გადიდებისათვის ერთ მილიონ ნახევარ მანეთამდე და ამნაირათ განზრახულია საფუძველი დაედევს უფრო სისტემატიურ და უფრო მალე სამღვდელოების ჯამაგირებით დაკმაყოფილებას.

რომ საჭიროა დახმარება და ჩქარი დახმარება ამ საკითხის გადაწყვეტაში, ეს ეკვარეშეა და ბევრ მტკიცებას არ თხოულობს. მხოლოდ ერთს ვიტყვი, რომ უკვე დღეს, მეოთხე დღემის პირველ სესიაში, შემოვიდა ოთხი საკანონდებლო წინადადება სახელმწიფო დუმის სხვადასხვა ჯგუფებიდან, რომლებიც ეხებიან

ამ საგანს. მათგან ერთი ხელმოწერილია 50 პარისაგან, მეორე 34, მესამე 134, მეოთხე 32-საგან. ამ ნაირათ საერთოთ 256 დუპის წევრმა ხელი მოაწერა საკანონდებლო წინადადებებს, რომელსაც მიზნად აქვს მოაწესრიგოს საფლოს და ქალაქის სამღვდელთა ჯამაგირით უზრუნველყოფა. ამნაირად, ხელის მომწერთა რაოდენობის მიხედვით გამოდის პატივსაღები უმრავლესობა. საბიუჯეტო კომისიამ საჭიროთ სცნო ამ საკითხის საჩქაროთ და პლან-შეწონილათ გადაწყვეტა, მაგრამ ამასთანავე არ შეეძლო ეს საკითხი მკიდრით დაეკავშირებია მეორესთან, სახელდობრ, საკითხთან სამრევლოს გარდაქმნის შესახებ, ან, ასე ვსთქვათ, მართლმადიდებელ სამრევლოს მოწესრიგების საკითხთან. საბიუჯეტო კომისიამ განსაჯა, რომ სამღვდელთა ჯამაგირის გადიდება და კრებულის უზრუნველყოფა, თავისთავად, კიდევ სწყვეტს საკითხს თანახმად ქრისტიანულ სარწმუნოებისა და მკვიდრთა მოთხოვნებისა შესახებ ქრისტიანულ მზრუნველობისა და ქრისტიანულ მწყემსობისა ადგილობრ; საბიუჯეტო კომისია ჰპოვებდა, რომ ამ ფრიად საპატიო საკითხის დაყენებისთვის საკმარისი არ არის მართლმადიდებელ კრებულის ჯამაგირით უზრუნველყოფა, რომ აქ საჭიროა რაღაც სხვა, რაღაც უფრო საპატიო და შეიძლება უფრო საპატიოც, ვიდრე ჯამაგირი, რომელიცა უზრუნველყოფს ტრაპიზის მოსამსახურეთა მდგომარეობას და არსებობას. საბიუჯეტო კომისია ჰპოვებდა, რომ უმთავრესი ძალა ამ საკითხის იმდენად ფულის რაოდენობაში, ან საქმის ნივთიერ მხარეში არ ძევის, რამდენათ ზნეობრივ, იდეურ და წმიდა საეკლესიო მხარეში. ჩვენ ვფიქრობდით, რომ საუკეთესო თავდები, მტკიცე ბოძი, რაზედაც შეიძლება დაემყაროს წესიერი შენობა ეკლესიური ცხოვრებისა ადგილობრ, არის ცხოველი კავშირი მღვდელსა და მრევლს შორის, ცხოველი კავშირი მწყემსსა და სამწყსოს შორის, მათი მუდმივი ურთიერთობა, მათი საერთო მუშაობა მართლმადიდებელ ეკლესიის შესაფერად, მათი საერთოერთო დარიცხვა, მათი თითქმის, ვიტყვოდი, საერთო-

ერთო განათლება. მაგრამ ამ საკითხზე მიზნის შესაფერ გადაწყვეტილების მიღებისათვის, მისთვის, რომ გამოტყიდეს ადგილობრ ეკლესიური ცხოვრება, ამისთვის საჭიროა ის, რაზედაც აგრეთვე არა ერთ გზის სრულიად გარკვეული ფორმით გამოთქმულა სურვილი, არა მხოლოდ სახელმწიფო დუმაში, არამედ საეკლესიო დაწესებულებათა შორის და ტახტის სიმაღლიდანაც კი. საკმარისი იქნება ჩემთვის ვუჩვენო, რომ 17 ოქტომბრის 1906 წლის მინისტრთა საბჭოს დებულებაში დადგენილი იყო, მიენდოს ობერპროკურორს შეიტანოს სინოდში პროექტი მართლმადიდებელ სამრევლოს ორგანიზაციის შესახებ, აგრეთვე მართლმადიდებელ სამზრუნველოების და ძმობების შესახებ, და რამდენადაც ესენი დამოკიდებული იქნებიან სამოქალაქო ურთიერთობასთან, წარმოადგინოს საკანონდებლო გადასაწყვეტათ. დაახლოებით ესევე აზრი გამოსთქვეს თვით საეკლესიო დაწესებულებებმა. კრების წინასწარ საბჭოს მეოთხე განყოფილებამ 1906 წ. განიხილა საკითხი ძრიელ დაწვრილებით, დაიმუშავა მთელი ყოველმხრივ დასაბუთებული პროექტი, რომლის დამუშავებაში მონაწილეობას ღებულობდენ შესანიშნავი წარმომადგენელნი როგორც საეკლესიო, საღვთისმეტყველო და კანონიკურ მეცნიერებისა, აგრეთვე საზოგადო მოღვაწენიც... ამნაირათ, თქვენ ზედავთ, ბატონებო, რომ როგორც საეკლესიო დაწესებულებები, ისე საკანონდებლოც ერთნაირი სიმტკიცით და ერთნაირი გადაწყვეტილებით აღიარებენ თავის გულის პასუხს ადგილობრ საეკლესიო ცხოვრების მოწესრიგების შესახებ, არა სხვა სახით, თუ არ მართლმადიდებელ სამრევლოს მოწესრიგებით. მაგრამ ვკონებ ამ საკითხსაც არ მიეცა, დღემდის მაინც, კეთილი დასასრული და ჩვენ დღესაც იგივე დაპირებები მოვისმინეთ უწყების წარმომადგენელთაგან, რაც მოუსმენია დუმას წასულ წლებშიაც; სახელდობრ ის, რომ ყოველ ზომებს ღებულობდენ, რომ საქმე დამუშავებაშია ამი, თუ იმ კომისიაში, რომ იგი გადაცემულია მინისტრთა საბჭოში; მაგრამ ჩვენ უკვე ვიცით,

რომ ამ საკითხზე მუშაობდა არა ერთი კომისია, მუშაობდნენ კომისიები, თუ არ ესკაიები, ეპისკოპოს სერგი ფინლიანდელის თავჯდომარეობით, ვილნოს ეპ. აგათანგელის თავჯდომარეობით, კიშინევის ეპ. სერაფიმეს თავჯდომარეობით რომ ეს საკითხი უკვე რამდენჯერმე წარედგინა განსახილველად მინისტრთა საბჭოს. აქედგან რამოდენჯერმევე დაბრუნებულ იქმნა უ. სინოდში, სადაც ხელახლა სინჯავდნენ სხვადასხვა კომისიებში. დღეს ჩვენ გვესმის, რომ ეს საკითხი მინისტრთა საბჭოს ხელშია და ჩვენ სრულებით უზრუნველყოფილი არა ვართ იმაში, რომ ეს საკითხი ისევ სინოდში არ დაბრუნდება, შემდეგ ისევ საბჭოში და ამნაირათ ეს განმეორდება რამდენჯერმე და დასასრულ ჩვენ ვაჭიკენებთ, რომ არა მოკცმულარს ჩვენდა ცნობად დრო იგი, არცა ეამი... საბიუჯეტო კომისია შკიდროთ უკავშირებს ერთი მეორეს ამ ორ საკითხს და ფიქრობს, რომ საკითხი სამრევლოს არსებობისა შეუძლებელია გადაწყდეს მის ჩქარა და მკვიდრ გარდუქმნელად. ამიტომ საბიუჯეტო კომისიამ გამოსთქვა სურვილი, რომ უწყებამ ყოველი ზომა მიიღოს, რომ ერთ და იმავე დროს, არა უგვიანეს მომავალი სესიისა, შემოტანილ იქმნეს მოხსენებანი შესახებ მართლმადიდებელ სამრევლოს მოწესრიგებისა და სამღვდელთა ჯამაგირების კრედიტის გადიდებისა მილიონ ნახევარ მანეთით წელიწადში, დაწვებული 1914 წლიდგან ხუთი წლის განმავლობაში და რომ ეს კრედიტი ყოველთვის გამოითხოვებოდეს სმეტის წესით.

ჩემ ნათქვამთან შკიდროთ კავშირი აქვს მეორე საკითხს, რომელშიც აგრეთვე მიიქცია უურადლება საბიუჯეტო კომისიისა, სახელდობრ, საკითხი სამღვდელთა ეპარხიალურ კრებებშია. როგორც მოგეხსენებათ, სამღვდელთა ეპარხიალური კრებები წარმოადგენენ ისეთ ორგანიზაციას, რომელიც შეიცავს მთელ

ლი ეპარქიის სამეურნეო (хозяйственную) ნაწილს. საეპარქიო კრებები აარსებენ სასწავლებლებს, სანთლის ქარხნებს, თვალყურს ადევნებენ და განაგებენ ამ ქარხნებს, ადებენ ეკლესიებს სხვადასხვა გადასახადებსა, ადებენ გადასახადებს თვით სამღვდელთა და, მოკლეთ რომ ესთქვათ, ისინი განაგებენ მთელი ეპარხიის მეურნეობის როგორც გასავალს, ისე შემოსავალს. უკანასკნელად გამოკცმულ კანონებით მასვე ევალება ახალი დამატებითი ჯამაგირების განიწილება. ეს იმის მაჩვენებელია, რომ საეპარქიო კრებები ფრიად საპატიო დაწესებულებაა მაშინ როდესაც ირკვევა, რომ დღემდის, მიუხედავთ იმისა, რომ იგი არსებობს სამოციან წლებიდან, კიდევ არ არსებობს არც ამ კრებების დაწესებულებები, არც მტკიცე სახელმძღვანელო ბრძანებანი მათი მოქმედებისათვის. საეპარქიო კრებები ხდება ზოგვან ყოველწლობით, ზოგვან სამ წელიწადში ერთხელ; ხან მარტო სამღვდელთა იკრიბება, ხან მნათებების წარმომადგენლებთან ერთად, ამასთან უკანასკნელები ხან ბევრი ესწრება კრებას, ხან ცოტა, ეს დამოკიდებულია ადგილობრივ მთავრობის შეხედულებაზე, ამნაირათ ეს საპატიო საეკლესიო სამეურნეო დაწესებულება არსებითად მოურთავია და მოუწესრიგებელი. საბიუჯეტო კომისია დიდათ აფასებს ამ დაწესებულებას, საჭიროთ მიანჩნია მისი შემდეგი განვითარება და ამასთანავე ფიქრობს, რომ მის კანონიურ განვითარებისთვის საქმიანობისთვის, მისთვის რომ მოგროული ფულების გასავალი, შემოსავალი და დანიშნულება უზრუნველყოფილი ვყოთ, საჭიროა შევიტანოთ ამ საქმეში ცოტაოდენი წესრიგი, ცოტაოდენი მღანშეზომილება და ერთნაირობა. ამიტომ საბიუჯეტო კომისიის საჭიროთ მიანჩნია, რომ უწყება დაუყონებლივ შეუდგეს ამ საკითხის დამუშავებას, გამოსცეს კანონები, რომელთაც უნდა მისცენ სრულიად მტკიცე დირექტივები როგორც კრებების მოწვევის წესრიგის შესახებ, ისე მის შემადგენლობაზე, და ბოლოს, იმაზედაც თუ რა ნაირათ უნდა იმოქმედონ ამ კრებებში. კერძოთ საბიუჯეტო კო-

მისია ფიქრობს, რომ საეპარქიო კრებები აღარ უნდა იქმნენ მხოლოდ სამღვდლოების კრებებად, რადგან ის ინტერესები, რომლებსაც ეს კრებები განაგებენ, ეხებიან არა მარტო სამღვდლოებას, არამედ უფრო ფართო საზოგადოებას — ეკლესიებს და საშწყსოს. ეს კრებები ხარჯს ადებს არა მარტო სამღვდლოებას, არამედ ეკლესიებსაც. თუ მივხედავთ იმ ცნობებს, რომლებიც ხელთ აქვს მომხსენებელს, დავინახავთ, რომ ეკლესიებიდან ყოველ წელს მხოლოდ სასულიერო სასწავლებლების შესანახ ხარჯათ იკრიბება 3,000,000 მანეთამდის....

ამასვე უნდა მიუმატოთ ის ხარჯები რომელსაც კრებენ სანთლის ქარხნებიდან, რომელიც უდრის 2000000 მანეთს წელიწადში და რომელიც წარმოადგენს იმავე ეკლესიების დაბეგვრას. ამიტომ საბიუჯეტო კომისიის საჭიროთ მიაჩნია, რომ საეპარქიო კრებებზე იწვევდნენ გადაშდელ მცხოვრებთა წარმომადგენლებს და არა მხოლოდ მნათეებს, არამედ სამრევლოსაგან საეპარქიო კრებაზე დასასწრებად არჩეულ პირებს....

მეორე საკითხი, რომელმაც მიიქცია განსაკუთრებული ყურადღება საბიუჯეტო კომისიისა, სასულიერო სასწავლებლების ცხოვრებაში, არის თვით ამ სასულიერო შკოლის ნაშენობა (მისი ხასიათი). სასულიერო შკოლას მიზნათ აქვს სამღვდლო პირთა მომზადება და სწორეთ ამით იხსნება ის აუარებელი, შეიძლება ითქვას, შეუძლებელი ხარჯები, რომელსაც ეწევა მათ შესანახათ ეკლესია, როგორც მთელი რამ, და კერძო ეკლესიები. მაშინ როცა არაერთის საიდუმლო არ არის, რომ სასულიერო შკოლები ამ უკანასკნელ დროს ძალიან დაშორდნენ თავის პირდაპირ დანიშნულებას, საკმარისია აღვნიშნოთ, რომ 2,148 კაციდან, რომელთაც 1911 წ. დაამთავრეს კურსი სს. სემინარიაში, ეპარხიალურ სამსახურში შევიდა 574 კაცი, და ამას გარდა 189 კაცი შევიდა სს. აკადემიებში. ამნაირათ სასულიერო შკოლებიდან მხოლოდ ერთ — მესამედამდის მრდიან თავის პირდაპირ დანიშნულების გზაზე, შედიან საეპარხიო სამსახურში, უმე-

ტესინაწილი კი, $\frac{2}{3}$ ისეთ სამსახურში შედიან, რომელსაც არავითარი კავშირი არ აქვს ეკლესიასთან. ციმბირის ერთმა ეპისკოპოსთაგანმა მოთხრა მე, რომ რამდენიც უნდა სემენარია დაარსონ ციმბირში, სულ ერთია აქედგან მღვდლები არ გამოვლენ, რადგან საშეალო კურს დამთავრებულ პირებში დიდი მოთხოვნილებაა და ისინიც უფრო შემოსვლიან სამსახურს პოულობენ საერო დაწესებულებებში.

კერძოთ საბიუჯეტო კომისიამ დაინახა, რომ დღეს სულ არა გვაქვს საკმაო ცნობები იმის შესახებ თუ რა მდგომარეობაშია სამეურნეო მხარე სამრევლო შკოლები და რა არის საჭირო მისი წესიერი დავენებისთვის, რომ შეიკრიბოს საჭირო ცნობები ამ საკითხის გამოხარკვევად. საბიუჯეტო კომისიის აღნიშნული მსჯელობის შედეგი გახლავთ მორიგ საქმეებზე გადასვლის ის ფორმულა, რომელიც საბიუჯეტო კომისიის სახელით შე ეხლა უნდა მოვახსენო სახელმწიფო დუშას.

ვხედავთ რა საჭიროებას,

2) რომ უწყებამ შემოიტანოს სახელმწიფოში ამ მოკლე დროში არა უგვიანეს მეორე სესიის დასაწყისისა მოხსენებანი: 1) მართალიდებელ სამრევლოს მოწყობისა და 2) სამღვდლოების ჯამაგირის კრედიტის ყოველ წლივ გადაიდებისა;

3) რომ უწყებამ მოახთინოს დაწერილებითი გამოკვლევა სამრევლოს ეკონომიურ მდგომარეობისა;

4) რომ უწყებამ მიიღოს ზომები, რომ სამღვდლოების ეპარქიალურ კრებებზე ესწრებოდნენ მომეტებული რიცხვი მნათეებისა და სხვა სამრევლოს მიერ აღრჩეულ პირებისა სამღვდლო პირთა რაოდენობის მიხედვით, აგრეთვე მალე შეიმუშაოს წესრიგი საეპარქიო და საბლალოჩინო კრებებისა რომელმაც უნდა განსაზღვროს ამათი მოქმედება, რადგან მთელი სიმძიმე სხვადასხვა გადასახადებისა, რომლებითაც იბეგრება ეკლესიები თავზე აწევს მრევლს;

5) რომ განხილულ იქმნეს საკითხი შესახებ ეკლესიების დაბეგვისა სასულიერო სასწავლებლეთა შესანახად;

6) რომ განხილულ იქნეს საკითხები — ეკლესიების განთავისუფლებისა სასულიერო სემინარიების შესანახავ ხარჯისაგან და სასულიერო სასწავლებლებში მოსამსახურე პირთა ჯამაგირების და პენსიის სახაზინოთ მიღებისა.

7) რომ უწყებამ შეეცადოს ეპარქიაში ცნობები ეკლესიების შემოსავლის შესახებ და ყოველივე ბეგარის შესახებ, რომელსაც იხდიან ეკლესიები სასულიერო სასწავლებლების შესახებ და სხვა საეპარქიო საჭიროებისთვის მათ კატეგორიულად დანაწილებით.

8) რომ უწყებამ შეიტყოს რაოდენობა სასწავლო დასახმარებელ საგნებისა და შესანახ ხარჯისა თითოეულ მაზრაში ცალკე, იმ შკოლების, რომელიც შედიან საშკოლობადეში და ლეზულობენ ხაზინიდან დახმარებას მასწავლებელთათვის.

სათათფარო გადადის უწ. სინოდის პროექტის თითოეულ ნომრის განხილვაზე.

თავმჯდომარე აცხადებს ორი საათის შესვენებას.

ს ი ტ ე ვ ა

თქმული ქვაშუეთის წ. გიორგის ეკლესიაში 1913 წლის აპრილის 23.

ყოველმან, რომელმან აღიაროს ჩემ-
და მომართ წინაშე კაცთა, ძემანცა
კაცისამან აღიაროს იგი წინაშე ანგე-
ლოზთა ღმრთისათა (ლუკასაგან 12, 8).

ქრისტე მაცხოვრის მკვდრეთით აღდგომის შემდეგ, მისი მოძღვრება დიდის სისწრაფით გავრცელდა დიდებულის რომის საბრძანებლოში. მოციქულთა ქადაგებამ მიიძვრო ყურადღება კეისრის სახლითგან დაწყებული (ფილიპ, 1, 13) უბრალო ქვეშევრდომამდე. ქალი და ვაჟი, მოხუცი და ახალგაზრდა, მდიდარი და ღარიბი ყველა ერთნაირად მოპხიბლა იესო ქრისტეს მოძღვრების სიფაქიზემ, მშვენიერებამ და სისრულემ. სინათლისა და წინსვლის მომხრე ხალხმა იესო ნაზარეტელის მოძღვრებაში ჰპოვა მარგარიტი მრავალ სასუი-

დლისა, რომლის შესაძენად განსყიდეს ყოველივე, რაცა ედვა, — (მატთესგან 13, 46) წარმართული მსოფლიო მხედველობა და ამა ქვეყნიური სიამე-ბედნიერობა.

ქრისტეს მოძღვრების ჩქარის ნაბიჯით მსოფლიოამ აღძრა მის წინააღმდეგ ბნელი ძალები, რომლისთვისაც ხელსაყრელი არ იყო მკვდრეთით აღდგომილის იესო ნაზარეტელის მოწოდება ჰეშმარტის ღვთის ცნობისა და ურთიერთას სიყვარულისა. კერპთ-შქანდაკებელნი, ქურუმნი. მკითხავ-გრძნელნი და მსგავსნი მათნი ამხედრდნენ ქრისტეს მოძღვრების წინააღმდეგ, გაავრცელეს მორწმუნეთა თაობაზე უმრავლესთაგან უმრავლესი სიტყვა ბოროტი (მატთ. 5, 11) და აღძრეს მათ ზედა საბრძანებელის მმართველნი და მეფენი. ბნელ ძალთა მოქმედებას უნაყოფოდ არ ჩაუვლია: ყოვლად ღირსეულ ადამიანს, თვით წარმართთა მიერ პატივცემულს და ხშირად ისეთს, რომელსაც სახელმწიფო სამსახურში დიდი და

ჩინებული ადგილი ჰქონია, ყოველსავე პატივს აღდიდნენ და საშინელს ტანჯვას მიაცვენებდნენ, რაკი გაიგებდნენ, რომ ის ღირსეული ადამიანი ქრისტეანე იყო. ამ უსამართლო და უმეტეს შემთხვევაში პლადის სარგებლობისათვის აღძრული დევნის დროს, მორწმუნენი იშვიათად ამტლანებდნენ თავიანთ ქრისტეანობას. მაგრამ როცა საჭიროება მოითხოვდა, როცა მათგან იძიებდნენ სიტყვასა სასოებისა მისთვის, ისინი განმზადებულ იყვნენ მარადის სიტყვის მიგებად (1 პეტრ. 3, 15): ჩვენა ვართ ქრისტეანენი და ვერქვითარი ძალა ვერ აგვადებინებს ხელს ქრისტეცხოვრის სწავლა მოძღვრებაზედ, და შეგვაწვირინებს მსხვერპლსა კერპთა საკურთხეველზედ. წარმართნიც ცდილობდნენ ყოველივე ღონე ელონათ და ქრისტეანობა მოესპოთ: ცეცხლი და წყალი, აღუღლებული კუბრი და კირი, შუბი და ხმალი, მხეცები და ჯორღმული ყველა მოიწვიეს თანაშემწედ, მაგრამ ვერას ვახდნენ. ქრისტეანობას დღითი დღე ემატებოდა მორწმუნეთა რიცხვი და თანაც განმდიდრდებოდა მოწამეთა და აღმსარებელთა კრებულებით, ვის დროშა-

ზედაც დიდი ასოებით ეწერა: **რომელმან ალიაროს ჩემდა მომართ წინაშე კაცთა, ძემანცა კაცისამან ალიაროს იგი წინაშე ანგელოზთა ღვთისათა.** ერთი ამ კრებულისგანი იყო წმ. მთავარმოწამე გიორგი, რომლის სახელის სადიდებელ-სავედრებელად ჩვენ შევკრებილვართ აქ დღესა.

რამდენადაც ძნელი იყო ქრისტეს სახელის აღსარება და მისის მოძღვრების განხორციელება წმ. მთავარმოწამის გიორგის ქვეყნად ცხოვრების დროს, იმდენად ადვილი არის ეს დღეს, როდესაც ქრისტე მაცხოვრის სახელის დიდება-აღსარებასათვის არ მოგველის არც დევნა და არც ტანჯვა. მერმე, გამოგვიყენებია კი ჩვენ, საყვარელნო, ეს ჩვენი უპირატესობა? ვადიდებთ და აღვიარებთ კი ჩვენ ქრისტესა? ნუ გაიკვირებთ ჩემს საკითხსა, ნუ მეტყვიით: ჩვენ რომ ქრისტეს სჯულის აღმსარებელნი ვართ, განა ეს საეჭვოა? არა! მე ამას არ გეკითხებით, მეც ვიცი, რომ ჩვენ ყველა ნათელდებულნი ვართ, დასაეკლესიო და სამოქალაქო საბუთებშიც მართმადიდებლის აღსარების ქრისტეანებად ვირიცხებით! მე გეკითხებით: ყველგან და ყოველთვის აღვიარებთ ხოლმე სიტყვით და საქმით, ჩვენს თავს ქრისტეანებად? არა გვრცხვენნიან ხოლმე, ხანდისხან მაინც ჩვენის თავის ქრისტე-ღვთის მორწმუნედ გამოცხადებისა?... თქვენ რომ შეგეძლოთ ამ საკითხზედ პირდაპირ არა-ს თქმა, მეტად სასიამოვნო იქმნებოდა ჩემთვის, როგორც მოძღვრისთვის, მაგრამ ვაი, რომ ყველანი ამ საკითხზედ გადაჭრილ პასუხად არა-ს ვერ მეტყვიით, ვინაითგან პასუხი იგი არ იქმნება გულწრფელი და სიმართლითსავეს!.. აბა, დაკვირდით: ბევრი ჩვენგანი ცხად ჰყოფს ხოლმე თავის ქრისტეანობას პირჯერის დაწერით ეკლესიის მახლობლად გავლის დროს ანუ ზარის ხმის ვაგონებისას?... ნაცნობი ვინმე ქუჩაში რომ შეგვხვდეს და სალაპი არ მოგვცეს, ან სალაპიზედ არ გვიპასუხოს, ვიტყვი, — ადარ გვედარულობს, ჩვენი ნაცნობობის ერთგვინება... დღეთს სახლის დანახვებზედ, რომ არა ესკვით პატრის უფალსა ქუდის მოხდით და

პირჯერის დაწერით, — ეს რისილა ნიშანია?... ყველა ჩვენგანი შესწირავს ხოლმე ვედრებისა და მადლობას უფალსა საზრდელის მიღების წინ და შემდეგ, განსაკუთრებით თუ სტუმრებიცა გვყვანან?... ხელში რომ ნიეთი რაიმე გაუვარდეს ვისმე და ჩვენ მივაწოდოთ, თუ მადლობა არ გადაგვიხადა, — უმადურობად ჩამოვართმევთ და უზრდელადაც შევრიცხავთ... საზრდელისა და ყოვლის კეთილის მომნიჭებელს მადლობას რომ არ ვსწირავთ, — ეს რისილა მომასწავებელია?

თქვენ იტყვიით: ეს წვრილმანია, პირჯერის წერა და სხვის დასანახავად ლოცვა-ვედრება გარეგანი მოქმედებაა. ღმერთი კი გულთაში-ლაგია, ჩვენი გულითადი განწყობილება მან პირჯერის დაუწერავადაც იცის, ქუჩაში და გარეშე პირთა წინაშე ლოცვით ფარისევლებს მივემსგავსებით და შეიძლება დაცინვაც დავიმსახუროთო. რამდენად პატრისადებია ამ გვარად თავის გამართლება? ჯერ ერთი: საწმუნოების საქმეში წვრილმანი რამ არ არსებობს, ვინათგან გარეგან მოქმედებას თავისთავად კი არა აქვს ღირებულება, არამედ მაშინ, როდესაც ის არის გამოცხადებული შინაგანის განწყობილებისა... **გინა თუ სკამდეთ, განათუ სუმიდეთ, განათუ რასაცა იქმოდეთ, ყოველსავე სადიდებლად ღვთისა იქმოდეთო**, იტყვის წმიდა მოციქული (1 კორინთ. 10, 31). მეორედ: თუ ჩვენი გული სავსე და განწყობილია ღვთის სადიდებელ სამადლობელად, განა ეს გრძობა გარეშე მოქმედებაში არ უნდა იჩენდეს თავსა? არავის უნახავს, ქუჩასა მყოფი ადამიანი მწუხარების განცდის დროს იცინოდეს და მხიარულობდეს, ხოლო სიხარულის დროს, — სტიროდეს და ჰკოდებდეს: **რაიცა გულითა გვრწამს სიმართლედ, პირითა აღვიარებთ საცხოვრებლად** (რომ. 10, 10). შემდეგ: კიდევაც რომ დაგვიცინონ კეთილის-საქმის-ყოფისათვის, განა ეს საბუთი კეთილ საქმეზედ ხელის აღებისა? აკი მაცხოვარმა ბრძანა: **ნეტარ იყვნეთ, რაყამს გვედრადნენ... და სთქვან ყოველი სიტყვა ბოროტი თქვენდა მომართ საცრუით ჩემთვისო**

(მატ. 5, 11). უმჯობესია გამოვტყუდეთ: ჩვენ ამ დაცინვისა გვეშინიან და ამისათვის სამარცხვინოდ მიგვაჩნია აშკარად ჩვენის სარწმუნოების აღსარება. გვრცხვენია უგუნური ადამიანის გაკიცხვისა, გვრცხვენია ჩვენივე სტუმრებისა, რომლებსაც ღვთის მიერ მონიჭებული პურიტა და ღვინით უმასპინძლდებით, და გვაფიწყდება კი ქრისტე მაცხოვრის უტყუარი სიტყვები: **რომელსა იგი სირცხვილელ უჩნდეს ჩემი და სიტყვათა ჩემთა, ძემანცა კაცისამან არცხვინოს მას, რაუამს მოვიდეს დიდებითა მამისათა ანგელოზთა თანა წმიდათა** (მარკ. 8, 38) რა უმჯობესია: უგუნურის დაცინვა - გონიერი კაცი ადამიანს არ დაცინებს, გონიერი კუდ საქციელს ვაჰკიცხვას, დაგმობას, - თუ წინაშე ანგელოზთა სამარცხვინოდ ვახდობა, უარის-ყოფა ჩვენი ქრისტეს იესოს მიერ და საუკუნოდ მისგან, მზისაგან სიმაღლისა და წყაროისაგან ცხოვრებისა განშორება და წარწყმედა?

ნუ იყოფინ ესე, საყვარელნო! ნუ შეუშინდებით დაუშსახურებელ დაცინვასა, ნუ შევირცხვენთ ქრისტე მაცხოვრის აღსარებასა ნურც შინა და ნურც გარედ, ნურც გონიერთა და ნურც უგუნურთა წინაშე, სახედ მოქმედებისა გვაქვენდეს ცხოვრება წმიდათა მოწამეთა, რომელთა წინაედვათ სიტყვა უფლისა: **რომელმან აღიაროს ჩემდა მომართ წინაშე კაცთა, ძემანცა კაცისამან აღიაროს იგი წინაშე ანგელოზთა ღვთისათა. ამინ.**

დეკ. კ. ცინცაძე.

კვირიდან-კვირამდე.

პუტილოვის ქარხნის ეკლესიის წინამძღვარმა მ. ნიკოლსკიმ თხოვნით მიმართა სინოდს, რათა ნება დართოს ღვთისმეტყველებისათვის თხოვნას მითი ასაბუთებს, რომ არქიეფისკოპოსი ნიკანდრი მას უსამართლოთ და ცალმხრივით ეკიდება, რომელიც მ. ნიკოლსკის სიტყვით, „შეიქრა მის კერძო ოჯახურ ცხოვრებაში და ორი წლის განმავლობაში ახ-

დენს გამოძიებას, რითაც ის დაიტანჯა ზნეობრივად და ფიზიკურათ“.

„დიდი მწუხარებით, წერს მ. ნიკოლსკი, ვტოვებ მე ეკლესიას, რადგან არას გზით არ შემძლიან ვიქნე დაქირავებული და გავაყეთო ის, რასაც მიბრძანებს ეფისკოპოსი და არა ის, რასაც მეუბნება სინდისი და მღვდლობის ხარისხი“.

კომინიოვის არქიეფისკოპოსმა სერაფიმმა, გაზ. „ნოვოე ვრემის“ სიტყვით გასცა განკარგულება, რომ თვით მკვლევები არას გზით არ იქნან დასაფლავებულნი ქრისტიანული წესით. განსაკუთრებით ეს სასტიკათ უნდა იქნას გავრცელებული სასულიერო პირების წაწინააღმდეგეთ. ასეთი განკარგულებით მას სურს ებრძოლოს თვითმკვლელობას. ამიტომ ამ უკანასკნელ ხანებში წეს აუგებლივ დაასაფლავეს ეპარქიალურ სასწავლებლის მოწაფე ქალი, მასწავლებელი ქალი და ერთი მღვდელიც.

მღვდელ ჯაშს, წინამძღვარს ერთ-ერთ ეკლესიისა ლუკაში, ვოლინის გუბერნიაში, კონსისტორიის განკარგულებით აეხადა მღვდლობის ხარისხი, მას შემდეგ რაც პრესამ გამოააშკარავა მისი 100 ათასიანი აფერა. მან დიდი ხნის წვალების შემდეგ გამოსტყუა მდიდარ მოხუც ქალს გრიგოროვიჩის ფულები და თითონ გრიგოროვიჩი კი დაამწყვდია თავის სასტუმროში კიევიში და გამოაცხადა კლეა შემოღობილათ.

ესლა იმის შიშმა, რომ პასუხის გებაში მიცემენ, ჯაშმა სამჯერ სცადა თავის მოკვლა (ორჯერ საწამლავი დალია და მესამეთ შეეცადა ყელის გამოლადრას). მისი მდგომარეობა საშიშია.

სინოდი არბიებისკომპოზ ნიკონს გარდაათონში აგზავნის კიდე პროფესორ ტროიციის, რომ გავცნოს ბერძნების და რუსების მონასტრებ შორის ატეხილ დევას და ბერებ შორის გამწვავებულ ჯგომარეობას. ამ ბოლო დროს

ამ საქმემ უფრო შწვავე ხასიათი მიიღო. რუსი ბერები ჩივიან სინოდში, რომ ბერძნები ავიწროებენ მათ.

23 მაისს პეტერბურგში სტუდენტი სერგეი ხრუტკი ნერვების აშლილობის დროს გადმოვარდა მეხუთე სართულიდან და იქვე განუტევა სული.

ამ დღეებში დაიწყო ბ. იუსტინე აბულაძის რედაქტორობით „ვეფხისტყაოსანი“-ს ბეჭდვა, რომლის გამოცემა იკისრა ახალმა ამხანაგობამ „მწიგნობრობის ქვეყანა“-მ. ამ გამოცემის ტექსტი შემოწმებულია უძველეს და საუკეთესო ხელნაწერებთან და დართული აქვს საკირო ვარიანტები და ტექსტის შესახებ შენიშვნები. ამას გარდა წინასიტყვაობის სახით თავში წამძღვარებული აქვს ბ. იუსტინე აბულაძის გამოკვლევა და ვრცელი ლექსიკონი, რომელშიც შედის ყველა დღემდის აუხსნელი და ძნელად გასაგები სიტყვების განმარტება.

მონასტრების ბლადოჩინი არხ. ნაზარი მიემგზავრება საქართველოს საეგზარხოზოს მონასტრების სარევიზოთ.

სინოდში აღძრულია საკითხი რომ სემინარიელებისთვის შემოიღონ მორჩილის ტანი-სამოსი. ამ აზრს განსაკუთრებით იცავს პეტერბურგის მიტროპოლიტი ვლადიმერი.

ქ. სამარიდან გაზეთ „Рус. Молва“-ს წერენ: ამ დღეებში, ერთმა ადგილობრივმა მღვდელთაგანმა, რომელიც აშლილი იყო თავის მრევლს ვოლკოვთან, მოითაყსა გაზეთში განცხადება შემდეგი შინაარსისა: მომეთვისა მოწითალო ძაღლი ვოლჩოკი, შეიძლება ჩაიბაროთ (ვოლკოვის ადრესისა მოყვანილი). ამის შემდეგ რომ შეხვდა გზაზე, მღვდელი ეძახოდა,

როგორც ძაღლს, რისთვისაც ვოლკოვმა მიბეგვა მღვდელი. მომრიგებელ მოსამართლემ ვოლკოვს სამი თვის ციხე მიუსაჯა, ხოლო ყოვლად სამღვდლო აღექსიმ დააჯილდოვა მღვდელი უკეთეს მრევლში გადაყვანით, როგორც გალახვით დასჯილი. ვოლკოვმა გაასაჩივრა საქმე სენატში.

პეტერბურგის კონსისტორიის განკარგულებით კახანის ტაძრის წინამძღვრათ დანიშნულია ამავე ტაძრის კანდელაკი დეკანოზი გოლოვინი. ამრავათ ტყვილი გამოდგა ია ხმები, ვითოაც ვოსტორგოვისთვის უნდა მიეცათ.

ტრიპოლის მიტროპოლიტმა ალექსანდრემ, ამ დღეებში მიიღო სინოდის ობერპროკურორ საბლერისაგან ძვირფასი არქიელის სამოსელი სულ ოქროთი შექსოვილი.

პასუხის გებაშია მიცემული რუსეთის ერთ ქალაქის რეალურ სასწავლებლის სასწავლებლის მასწავლებელი, რომელმაც გალახა პსკოვის გიმნაზიის დირექტორი სადგურზე, პეტერბურგის სამოსწავლო ოლქის მზრუნველის გაცილების დროს. საქმის გარჩევამდე მასწავლებელი თავის ადგილზე დატოვებული.

მომავალ კვირას პეტერბურგში გაიმართება საუწყებათა შორისო თათბირი. ნიკოლსკის თავმჯდომარეობით ხიზნობის მოსპობის შესახებ. შეუის მოადგილის წარმომადგენლად იქნება მისი კანცელარიის დირექტორი ნ. პეტერსონი, ხოლო იუსტიციის მინისტრისა — თბილისის ყოფილი ვუბერნატორი ბ. ლოზინსკი.

ქუთაისის კლასიკური გიმნაზია წელს დაამთავრეს ორმოც და თექვსმეტმა ახალგაზრდამ. ამათში 38 ქართველია.

ს. დიდჯიხაიშში სამრევ. შკოლ. მეთვალყურის ბ. ავერკიევის თანდასწრებით სოფ.

ყრილობაზე დაუდგენიათ ახალი სამრევლო შკოლის ხუთოთახიანი შენობის აგება. ბ. ავერკივი ხაზინიდან შემწეობასაც დაპირებია.

ამ ღლეებში უწყებები ჩააბარეს თბილისის სასულიერო სემინარიის ყოფილ 19 მოწაფეს, რომელთაც საბრალმდებლო ოქმის ძალით, ბრალდებათ საიღუმლო საზოგადოების (общество чтецовъ) შედგენა, რომელიც ვითომც მოწაფეებში ავრცელებდა მთავრობის საწინააღმდეგო აზრებს. ამ აზრების გასავრცელებლად ეს წრე სცემდა ნაბეჭდ ურნალს „პირველი ტაღლა“-ს. ამ საქმეს თბილისის ოლქის სასამართლო 4 კვირკობისთვის გააჩვენეს.

ცნობილ დეკანოზ ვოსტორგოვს ახალი აღმატება ებოძა: ღვთისმშობლის საფარველის სობოროს წინამძღვრად დაინიშნა მოსკოვში. ეს ადგილი ვოსტორგოვს წელიწადში 6,000 მ. მისცემს და მშვენიერ ბინას. როგორც მკითხველთ ეცოდინებათ, ვოსტორგოვი ამას გარდა სინოდის მისიონერად და ვოლგის ნაპირების ეპარქიების სამრევლო შკოლათა მეთვალყურეთ არის და 10,000 მ. ჯამაგირს იღებს.

მეფის მოადგილისა და ქუთაისის გუბერნატორისაგან საპატიო მოქალაქეს ვარდენ ძიძიშვილს ნებართვა აუღია მოიწვიოს ოზურგეთის მაზრაში სოფლის ყრილობებზე და გამართოს თათბირი სოფლის სხვადასხვა მაენე ჯვეულებათა წინააღმდეგ ზომების მიღების შესახებ. სხვათა შორის ძიძიშვილს აზრად აქვს იქონიოს მსჯელობა ქორწილისა, დამარხვისა და საეკლესიო დღესასწაულების ზედმეტი ხარჯების შემცირებაზე. ბ. ძიძიშვილი ამ ღლეებში მიემგზავრება თბილისიდან ოზურგეთს და შეუდგება ყრილობების მოწვევის. (ს. გ.)

სასურველია ადგილობრივი მღვდლები შეუწყობდნენ ხელს მას ამ სიმპატიურ საქმეში.

აკაკი წყალტუ- ბოს აბანოებზე.

ღიდი ბედნიერება ეწვია წელს წყალტუბოს აბანოებს. ღღემდის უპატრონოდ მიგდებული შინაურებისგანაც და გარეშეებისგანაც, წელს მთავრობის ყურადღების ღირსიც კი გახდა. მაისის პირველს რიცხვებში მთავრობამ კაცი გამოგზავნა თფილისიდან ამ აბანოების წყლების გამოსაკვლევად. გამოკვლევამ ორ კვირაზე მეტი გასტანა და ამ წყლების ქიმიურმა ანალიზმა მოლოდინს გადააჭარბა. აღმოჩნდა, რომ ამ წყლებში ბლომად ურევეია, ე. წ. მეცნიერებაში ახლად აღმოჩენილი ნივთიერება რადია. მკოდნე კაცების თქმით ეს ნივთიერება თურმე ძვირფასი რამ არის და მრავალსწეულებას არჩენს. ამასთანავე იგი იშვიათად იპოვება დედა-მიწის ზურგზე და ამით ხომ უფრო საყურადღებოთ ხდის წყალტუბოს აბანოებს და ბედნიერ მომავალს უქადის.

ასეა, თუ ისე, ამ გამოკვლევამ ფეხზე დააყენა აქაური საზოგადოება; ყველამ ყურები სცქვიტეს. ყველა ამ რადიიზე ლაპარაკობს. აბანოების მეპატრონეები ოცნებამ გაიტაცა და მოსალოდნელ სიმდიდრეზე ფიქრით სტკებებიან. გარეშეებიც არა ნაკლებ ოცნებობდნენ. ვინ რკინის გზებზე და ავტომობილებზე ფიქრობს და ვინ ძვირფასად მორთულ სასახლეებზე. ვინ იცის იქნება ოდესმე ეს ოცნება სინამდვილედ იქცეს. ნათქვამია: კაცს სიციცხლეში ბედი ერთხელ მიადგებაო. იქნება წყალტუბოსაც ბედი კარზე უკაკუნებს. ქვეყანაზე ყველაფერი შესაძლებელია და დღევანდელი უმნიშვნელო წყალტუბო ხვალ ან ზეგ ვეროპიულად მორთულ ლამაზ კურორტად იქცეს.

ყველა ამ ოცნებაში ვიყავით, რომ მოულოდნელად წყალტუბოს აბანოებს ეწვია მგოსანი აკაკი თავისი ცოლ-შვილით. ამ ბედნიერებამ აქაურებს თავს ბრუ დაასხა და მეტასმეტი სიხარულისაგან აღარ იცოდნენ, რა ექნათ. ჯერ პირველად თითქოს დაიბნენ მოჭარბებულ სიხარულისაგან, არ იცოდნენ, როგორ და

რით ეცათ პატივი ამ ძვირფასი სტუმრისათვის. იმასაც კი შიშობდნენ, ვაი თუ მეტიჩრობაში ჩამოგვართვან და გოკის ნადირობად მიიღოს გარეშე საზოგადოებამ ეს ჩვენი გულწრფელი მოქმედებაო. ბოლოს გადაწყვიტეს, რომ წყალტუბოს საზოგადოების სახელით გაემართათ აკაკისთვის ნაღიმი. — და მართლაც 30 მაისს, ხუთშაბათს, აკაკი დაბატოვდა სადილზე.

სადილი გაიმართა თვით აბანოებზე, ახლად აგებულ, ჯერ კიდევ მოუთავსებელ სახლში, რადგან სხვა უკეთესი შესაფერისი ბინა არ იშოვებოდა. სასადილო დარბაზი მორთული იყო ყვავილებითა და მწვანე ფოთლებით. ხის ტოტებისაგან ორს ადგილას გადმოყვანილი იყო ლამაზად თაღები, რომლებშიდაც ჩართული იყო სხვა და სხვა ფერის ყვავილები, ხოლო აკაკის დასაჯდომ ადგილზე თაღს ქვეშ ლამაზად ეწერა ყვავილებისაგან შეკერილ ასოებით თვით ძვირფასი სტუმარის სახელი „აკაკი“. ასეთივე თაღი იყო გაკეთებული შესავალ კარებში.

სადილზე ხალხი განგებ ცოტა იყო მოწვეული. რადგან ერიდებოდნენ მგოსნის შეწუხებას. სულ იყო 40-მდე ქალი და კაცი. სხვათა შორის ამის მიზეზი ისიც იყო, რომ აკაკი წინა დღეებში ქალთაში წაბძანდა და დანამდილებით არაფერი იცოდა, რა დროს დაბრუნდებოდა. ამ გარემოებამ გაელენა იქონია და ამიტომ შესაფერისად ვერ მიეგებნენ ძვირფასს სტუმარს. ამის მიზეზით სადილიც დაგვიანებული იყო და თან ცუდი ტაროსიც ხელს უშლიდა. პირველი საათიდან განუწყვეტლად სწვიმდა. აკაკი კი შუადღეზე უკვე აბანოებზე იყო. აქ მას შეხედნენ მოწაფეები, რომლებსაც მოუხსინა ლექსები და მათი მკაფიო კითხვით კმაყოფილი დარჩა. შემდეგ უთხრა: ჩემსობას აქვენ ხელო ბავშვები ტირილსაც ვერ ახერხებდნენ და თქვენ ზი დღეს ლექსებიც კი ვისწავლიათო. ეცადეთ კარგად ისწავლოთ, რადგან თქვენ მამა თქვენების გაჭიკურება არ გაწუხებთო. შემდეგ ბავშვებმა სიმღერები სთქვეს და დაიშალნენ, რადგან წვიმამაც უმატა და თან სადილიც გადაუდროვდა. სრული სამი საათი

იყო ნაშუადღევსა, რომ აკაკი სადილზე მიიწვიეს. სადილზე ვერ დაესწრო აკაკის ცოლ-შვილი უქეიფობისა გამო, თუმცა გულით სთხოვდა საზოგადოება. ბოლოს დამსწრეებმა მოიყარეს ერთად თავი და ბინიდან სასადილო დარბაზამდი მოაცილეს აკაკი. აქეთ-იქით გვერდში უდგენ აქიმი გ. ნ. კახიანი და მასწავლებელი ლ. ხმალამე, რომლებიც შემთხვევით აბანოებზე იყვნენ და აკაკის საპატივცემოდ ისინიც მიიწვია საზოგადოებამ სადილზე. აიენის კიბესთან აკაკის მიეგება სადილის დიასახლისი გ. ა. იოსელიანის მეუღლე მინადორა, რომელმაც ყვავილების თაიგული მიართვა მას და დარბაზში შეიწვია. გაიმართა სადილი. სადილზე პირველად აკაკის სადღეგრძელო წარმოსთქვა დიასახლისმა და მას ბანი მისცა ყველამ ერთად. ამ დროს წამოდგა ადგილობრივი მღვდელი ბლ. ი. ფანცხავა და აკაკის შემდეგი სიტყვით მიმართა*) ამ სიტყვის შემდეგ დალია მისი სადღეგრძელო. სიტყვები წარმოსთქვეს სხვებმაც მშვენიერი მოკლე სიტყვა უთხრა აზ. ი. იოსელიანმა და აგრეთვე მღვ. მიხ. ჩიქვინიძემ, რომელიც საზოგადოებამ ტაშის ცემით დააჯილდოვა.

სადილზე აკაკი მზიარულად ბძანდებოდა და ხუმრობდა. დამსწრე საზოგადოებაც მზიარულ გუნებაზე იყო და ამიტომ მის სიმღერას დასასრული არა ჰქონდა. სადილზე სიტყვა წარმოსთქვა აკაკიმაც. მან მადლობა შესწირა საზოგადოებას ამ პატივისცემისათვის და სხვათა შორის სთქვა: „ბატონებო! მადლობას გწირავთ ჩემი ასეთი პატივისცემისათვის, მაგრამ არ შემიძლია არა ვსთქვა, რომ რაც აქ ჩემზე სთქვეს და მომაწერეს, გადაქარბებული არ იყოს. მე მისი შესამედიც არა გამიკეთებია, რაც მომაწერეს, მაგრამ ალბად ეს მათი გრძნობებისა და კეთილი სურვილების ნაყოფია და ამას რამოდენიმედ ეუროგდები, მხოლოდ არ ვეთანხმები მოლაპარაკებას. საქართველო დამაგრულად რომ ახსენეს, ქართველი ხალხი თავის დღეში არ ყოფილი და არ იქნება დამაგრული. ამის შესახებ ეროს არაკს მოვასხუნებთ. გზაზე ორი კაცი მიდიოდა. შემოიღამ-

*) სიტყვა ქვემოთ იმეტილება.

დათ და ერთმა მეორეს შესჩივლა, რომ ამ ბნელაში ორივე დავილუბებით, რადგან არც ენელილი გვაქვს და არც სანთელიო. მეორემ ანუგეშა და უთხრა: „მე აქ კვეს-აბედი თან მაქვს და როცა საჭირო იქნება, დავკვესავ და ცეცხლს ვაგაჩალებო“. ქართველ ხალხსაც თან დააქვს მისი კვესაბედი. როცა საჭირო იქნება, იგი დავკვესავს და გზას ადვილად გაინათებს. მე ჩემს სიცოცხლეში ამას ვქადაგობდი და ახლაც ამას ვამბობ. მრწამს მისი უკეთესი მომავალი. და ამას ხელს ვერაფერს შეუშლის. ამ სიტყვამ აღფრთოვანებული ტაშის ცემა გამოიწვია და ვაშას ძახილს დასასრული არა ჰქონდა.

სადილი შემინდებამდი გაგრძელდა. სადილს შემდეგ აკაკი თავის ბინაზე ხელით აყვანილი მიაცილეს ტაშის ცემით, ვაშას, „გაუმარჯოს აკაკის“ ძახილით. ეს რომ აბანოებზე მოსრულმა სტუმრებმა დაინახეს, იმათაც თავის სახლების აივნებიდან ასტეხეს: „გაუმარჯოს აკაკის, გაუმარჯოს აკაკის“ ამ ნაირად დასრულდა იმ დღის ნადიმი.

ხოლო ამაზე უფრო დიდებული სანახავი იყო აკაკს გამომშვიდობება კვირას, 2 ივნისს, როცა აკაკი წყალტუბოდან ქუთაისში წაბძანდა თავის ცალმშვილით. იმ დღეს, ადგილობრივ მცხოვრებთა გარდა, აკაკის საპატივცემოდ მოვიდნენ ბანოჯიდან მასწავლებლები თავის მოწაფეებით. მათმა მშვენებმა და მოხდენილმა სიმღერამ, სიტყვებმა და ლექსების ზეპირად წაკითხვამ ალტაცებაში მოიყვანეს აკაკი და სხვებიც. აკაკიმ მოწაფეებს წიგნაკები დაურიგა და მადლობა შესწირა მასწავლებლებს.

გამგზავრების დროსაც ხალხი შემოეხვია სამგზავრო ეტლს და ვაშას ძახილით გააცილა და სანამ ეტლი არ დაიძალა, „გაუმარჯოს აკაკის“ ძახილი არ შეწყვეტილა დიდხანს.

აკაკი გაემგზავრა ქუთაისში და აბანოების მეპატრონეებს აღუთქვა, რომ ფოტოგრაფს გამოავლენი და სურათებს გადაეღებინებო. საზოგადოთ აქაური ადგილ-მდებარეობით კმაყოფილი დარჩა აკაკი. ძლიერ მოეწონა თვითონ წყლებიც. მხოლოდ მოწყობილობა და მორ-

თულობა როგორც აბანოებისა, ისე სადგომი სახლებისა, თვითონ ჩვენ რომ არ მოგვწონს, აკაკის როგორღა მოეწონებოდა. პირ-იკით უკმაყოფილობაც გამოთქვა და ურჩია მეპატრონეებს მათი გაუმჯობესობა. თუ დროით ასე არ მოიქცეით, ადვილი საფიქრებელია, მთლადაც დაკარგოთო, რადგან მთავრობას უკვე დაუკენქავსო. მეღა რომ ქათამს დაკენქავს, სთქვა აკაკიმ, მაშინვე უნდა დაიკლას, თორემ ისევე მეღა წაიღებსო. ამასთანავე აუხსნა, თუ რა უღვევლ სიმდიდრეს წარმოადგენს ეს აბანოები და რა ძვირფასად ღირს. მათი ფასი ქიათურის მარგანეცზე და ბაქოს ნავთზე უფრო მაღლად დააყენა აკაკიმ. მანვე აღუთქვა, რომ ვეცდები გიშოვოთ ვინმე კაპიტალისტი და მას მიეცით გასაკეთებლადო.

ი. კორტელი.

ს ი ტ ყ ვ ა ა კ ა კ ი ს მ ი მ ა რ თ
დიდაზულო მაჟულიშვილო,
მგოსანო აკაკი!

დიდათ გულ-დაწყვეტილი და გულ-ნაკლული იყო დღემდი წყალტუბოს საზოგადოება, რომ შორიდან დიდი ხანია გიცნობდა და ახლოს კი არ ენახე; ზეპირად სწავლობდა მრავალს შენს ლექსებს და გაიმღეროდა მათ, ხოლო რა შესახედაობის იყო მათი გამომთქმელი, ეს ბევრმა მხოლოდ წარმოდგენით იცოდა; აფასებდა შენს ღვაწლს სამშობლოს წინაშე და შეძლების და გვარად მონაწილეობას იღებდა საქართველოს ყოველ კუთხესთან ერთად შენს პატივსაცემად გამართულს დიდებულ დღესასწაულობაში, მაგრამ გული მაინც ნაკლულად ჰქონდა და ეშურებოდა ახლოს ენახა თავისი სათაყვანებელი მამულიშვილი და მისი პირისპირ ბილვით დამტკბარიყო. შურით ადევნებდა თვალ-ყურს შარშანდელს შენს მოგზაურობას რაჭა-ლეჩხუმში და თავისთვისაც ამ ბედნიერებას ოცნებობდა.

და იი დღეს განგებამ მასაც აღირსა გამოსცადოს ის ბედნიერება და სიხარული. რომელიც საქართველოს დაბა-ქალაქებში და კუთხეებში დიდი ხანია გამოსცადეს. დიხს, ბედნიერია დღეს წყალტუბოს საზოგადოება, რომ

შენ თვის შორის გხედავს, მაგრამ იგი დარ-
ცხვენილად გრძნობს თავის თავს, ძვირფას
სტუმარს საკადრისად რომ ვერ გიმა-
სპინძლდება. ამისთვისაა რომ აქ ასე ცოტა
ხალხს ხედავ, მგოსანო! იგი ერიდება თა-
ვისი მოზღვავებული გრძნობების გამოთქმით
შენს შეწუხებას და არც შეიძლება მათი გამო-
თქმა. ხანდახან მათი მხოლოდ განცდა შეიძ-
ლება და არა გამოთქმა. ხოლო თუ ვინმე მო-
ინდომებს ამ აღფრთოვანების გამოთქმას, მას
უნდა ჰქონდეს მჭერმეტყველება ოქროსპირისა,
მოქნილი ენა რუსთაველისა და მახვილი გო-
ნება აკაკისა. და რადგან არც ერთი ეს ღმერთს
ჩემთვის არ მოუნებია, ამიტომ უხეირო
თქმით არც მე შეგაწუხებ. ხოლო ამას კი
ვიტყვი: ის მადლობის გრძნობა, ის შეგნება,
ის თვითცნობიერება, ის სიხარული და ერთ-
სულოვანი აღფრთოვანება შენდამი, რომელიც
დღეს ყოველი ქვეშაირი ქართველის გულში
ღვივს, უტყუარი ნიშანია, დამამტკიცებელი
საბუთია იმისა, რომ შენს შრომას ფუჭად არ
ჩაუვლია. დიახ, ბედნიერი ხარ შენ, მგოსანო,
რომ სიცოცხლეშივე მოესწარი შენი ნაშრო-
მის ნაყოფს. თუ ვისმეს წილი უდევს ქართველ
ერის გათვითცნობიერებაში და ეროვნული
გრძნობის გაღვივებაში, პირველი ეს შენ ხარ.
ამიტომ გვმართებს შეგება და სიხარული, რად-
გან ნათქვამია: „მაშინ იხარებს მწიფდნაეი,
ოდეს შოისთელის მტევნებსა“. მაშ იხარებ-
დე და იშვებდე შენცა, მგოსანო! შენი დაფი-
სა და ნაღარის ხმაზე დღეს უკვე ემზადებიან
ტარიელ-ავთანდილები ცხრა-კლიტულში დატ-
ყვებული შენი გულის „სატრფოს“ გამოსახ-
ნელად ქაჯეთის ციხიდან. სწორედ ეს უდი-
დესი ბედნიერებაა შენთვის.

აქვე ჩემდა უნებურად მაგონდება მეორე
შენსავით დიდებული მამულიმეილი და მგოსა-
ნი ილია. რომელსაც არა მკირედი ღვაწლი
მიუძღვის შენთან ერთად ქართველი ხალხის
გამოსაფხიზებლად და შესაგნებლად. მაგრამ მი-
სი აფაზაჯურად მოკვდა უმაღურ შეილთაგან
მუდამ შხამად და ნაღვლიად მოსაგონარი დარ-
ჩება შთამომავლობის მენსიერებაში. მისი და-

კარგვით ატეხილ სევდებს დღეს შენზე იქარ-
ვებს საქართველო. შენზე ფიცულობს და შენ-
ზე ამოდის მას მზე და მთვარე და ამით ორი-
ვეს პატივს გცემს. ასეთია ბუნების წესიც.
როცა მთვარე გაიპარება, მაშინ უფრო ვაფა-
სებთ ბრწყინვალე მზის სხივებს, ხოლო როცა
მზე ჩავსვენება, მთვარის საოცნებო შუქით
ვტკბებით, მაგრამ სამუდამოდ ვერც ერთს ვერ
ველევი. ვერ შეგვლევი, ჯერ კიდევ დიდ
ხანს, შენც მგოსანო! თუმცა შენი მხარის და-
მამშვენებელი ილია უღვთო აფაზაჯებმა ძალიად
მოგლიჯეს საქართველოს ცას და არ დააცალეს
ბუნებრივი სიკვდილი, მაგრამ ამით უფრო
უკვდავ ჰყვეს მისი სახელი. დიახ, ილია უკვდა-
ვია. მის სახელს ვერ მოსპობს ვერც ტყვია და
ვერც მახვილი. უკვდავი ხარ შენც, მგოსანო,
და ამით ბედნიერი ხარ სიცოცხლეშივე. შენი
სახელი მარად მოსაგონებლად დარჩება ჩვენს
შორის, სანამ დედა-მიწის ზურგზე ერთი ქარ-
თველი მაინც იბოგინებს.

ნება გვიბოძე, დიდებული მგოსანო, შე-
ნი სახელის უკვდავ საყოფელად ჩვენს შორის
და საშვილიშვილო სახსოვრად შენი აქ, წყალ-
ტუბოში ყოფნისა შენი ძვირფასი სახელი უწო-
დით ჩვენს წიგნ-საკავ-სამკითხველოს. მიიღე
ეს ჩვენგან ნიშნად ჩვენი შენდამი ღრმად პა-
ტივის ცემისა და დარწმუნებული იყავი, შენს
სახელს არ შევარცხვენთ. ნიშნად ამ პირობის
სიმტკიცისა მე ვსვამ შენს სადღეგრძელოს და
გულმხურვალედ ვვედრები უფალს, გაცოც-
ხლოს მრავალ ღამიერ შენი სამშობლოს სასა-
ხლოდ.

ბლად. მღვ. ი. ფანცხავა.

საქმეო კითხვების განმარტება.

შედავითნე ვრ. ხარაიძეს.

კათხვა. ჩვენ მახლობელ სოფელში ერთ
კაცს უძახოდენ ბიჭიას და იმავე სოფელში ერთ
ქალს უძახოდენ ესაკიას. გადაიკვალენ ეს
ხსენებული კაცი და ქალი. ანდერძის აგე-
ბის დროს გამოირკვა იმათი სახელები და
კაცს რქმევია მონათვლიდან გიორგი, ქალს—

კესარია. ადგილობრივი მღვდელი მიცვალებულებს ორივე სახელით იხსენიებს: მონისა შენისა გიორგისა, იგივე ბიქისაო, მხეველისა ესაკია, იგივე კესარიასაო. სხვა მღვდლები უარს არიან.

პასუხი. ღმერთი ყოვლის მკოდნეა, ამიტომ რა სახელითაც უნდა მოიხსენიოს მიცვალებული სულ ერთია. რაც შეეხება ორივე სახელის ხსენებას—ეს მეტია და უწესოც არის. უწესოა აგრეთვე ისიც, როცა სახელთან გვაჩსაც იხსენებენ და წოდებასაც ზედ ურთავენ.

კითხვა. ძველ მიტოვებულ საყდრების ეზოში არის აზღილი ტყე. ეს ტყე რომ მალლა ვადაიქრას, ხშირათ ორი-სამი საენი და მეტიც შეშა დაიდგმის, ხალხი კი შიშით ხელს ვერ კიდებს. შეიძლება თუ არა ადგილობრივი მღვდლის განკარგულებით ტყე მოიქრას და გაიყიდოს ეკლესიის სასარგებლოთ?

პასუხი. მღვდელს არ შეუძლია თავის განკარგულებით ერთი ხეც მოაქრევის საეკლესიო ტყეში, ამაზე საჭიროა ეპისკოპოსის ნებართვა.

კითხვა. რომელი მღვდელ-მოქმედება არის ისეთი, რომელსაც მღვდელი თავისი მედავითნის მოხმარებით შეასრულებს და ნაჩუქარ ფულში წილს არ დაუდებს?

პასუხი უბრალო გონიერება გვიკარნახებს, თუ ორივე მუშაობს სასყიდელიც ორივეს ვრგება წესისაებრ.

კითხვა. თქვენი გამოცემული გაზეთი მღვდლებს აქვსთ ეკლესიის ფულით გამოწერილი და ზოგიერთი მღვდლები თითონ კითხულობენ და მედავითნეებს არ აძლევენ წასაკითხავათ. არის რიგი მედავითნეებსაც გადაეცეს გაზეთი თუ არა?

პასუხი: ასეთი კითხვა რამდენიმე სხეებისაგანაც მივიღეთ. საეკლესიოთ გამოწერილი გაზეთი არა თუ მხოლოდ მღვდლისა და მედავითნისთვის არის დანიშნული, არამედ მთელი სამრევლოსთვის. წაკითხვის შემდეგ, კრებულმა, გაზეთი იქნება, თუ ეურნალი, მსურველებს უნდა გადასცეს წასაკითხავათ. სასულიერო შინაარსის გაზეთი სწორეთ მაშინ გამოიღებს ნაყოფს, რო-

ცა ფართოთ მოფინება ხალხში და მოეფინება მაშინ, როცა კრებული ინტერესებს ხალხს, უხსნის და უმარტავს სასულიერო გამოცემების მიზანს და დანიშნულებას. ჩვენი უმორჩილესი თხოვნა კრებულის წინაშე ის არის, რომ ჩვენი გამოცემები ფართოთ გააცნოს ხალხს. რომ კრებული მოინდომებდეს, დარწმუნებული ვართ ჩვენ გამოცემას ორი სამი ხელის მომწერი შეეძინება ყოველ სამრევლოში და ეს მარტო ჩვენი შეძენა არ იქნება, არამედ ეკლესიისა და თვით კრებულისა.

კითხვა. ბზობის წინა დღე შაბათს, ესე იგი ლაზრობას, დიდ ხუთშაბათს, დიდ შაბათს და შუა ზადიკის ოთხშაბათს ზოგი მღვდელი აუქმებს ხალხს და ზოგი არა, რომელი არი უფრო კანონიერი?

პასუხი. ჩამოთვლილი დღეები არც ერთი უქმეთ არ წერია. ხალხმა კი უნდა იცოდეს ამ დღეების მნიშვნელობა, რომ, თუ გარემოება ხელს შეუწყობს, ეკლესიაზე მოვიდეს და წირვა მოისმინოს.

წერილი რედაქციის მიმართ.

მამაო რედაქტორო!

უმორჩილესად გთხოვთ ავდილი მისცეთ ამ წერილს ვაზ. „შინაურ საქმეებში“. კარგათ მოგეხსენებათ, თუ როგორი დამღუპელი და ჩვენი დამამზობელი, ვითომ დღესასწაულები, მოგვიდის, ალავერდობა, კობინჯრობა, ეკნობა ოქონობა, ტეხისობა მაისის ორშაფათი და სხვა, რისგამო ბევრი მუშა ხალხი, კაი მლოცველები ვინც არიან, გვეხვეწებიან, როგორმე თავი დავახწიოთ ამ უბრალო ხარჯებს, თითო კვირის ქეიფობას, ხანჯლობია-უბედურებას და მოგონილ დღესასწაულებს. დალოცვილი ჩვენი მამები ხმას არ იღებენ. რა იქნება ხმა ამოიღონ და ეს უბედური ჩვენი დამალარიბებელი, მომსპობი ჩვეულებრივი დღესასწაულები ნახევრობით მაინც შეამკირონ. სხვა უბრალო ხარჯებიც იქონიეთ სახეში. მამებს შორის ნუ თუ არ მოიძებნება ორი ან სამი პირი, რომ შიაკიონ ყურადღება ამ საგანზე. ერთი უბრალო განცხადება რომ პრისტავებმა ეკლესიაზე მიაკრან, ვეღარაინ-

გაბედავს ამ სისულელის აღსრულებას, იმის ნაცვლად შეუძლიათ უბრალო დღე დანიშნონ თვისთვისა კომლბა და ამ სახით მოსპონ ასეთი სისულელე. გვიშუამდგომლეთ ვისდამიკა ჯერ არს. თუ შუშა ხალხი გიყვარსთ გავიგებთ, ეხლა დაგვეხმარებით და ბევრ კეთილ საქმეს შეგვეძენთ ბიჭია—ლევან ჯაბიძე.

რედაქციისაგან

ჩვენ დიდათ თანაუგრძნობთ. ჯაბიძეს და მუდამ იმ აზრისა ვართ, რომ ჩვენი დღეობები არ არიან ქრისტიანული. ისინი უფრო კამასმას ემსახურებიან, ვიდრე ღმერთს. მაგრამ სამწუხაროთ კეთილი სურვილების გამოთქმის მეტი არაფერი შეგვიძლია. პოლიციის და აღმნიშნატრაციის სარწმუნოებრივ საქმეებში ჩარევა კი უადგილოთ და საშიშრადაც მიგვაჩნია. სარწმუნოებრივ საქმეებში ძალდატანება შეუძლებელია. სამღვდლოება ვალდებელია დღითი დღე, დროითი-უდროვო უჩინინოს და უქადაგოს ხალხს დღეობების ქეშმარიტი აზრი, რომ ხალხმა შეგნებულნი ნებაყოფლობით მიატოვოს დამღუპველი ჩვეულებები. ასეთი დრო, ჩვენ გვგონია, შორს აღარ არის, ხალხი თანდათან თვითწრობიერდება და მალე დადგება ის დრო, როცა დღევანდელი დღეობები ისტორიის მხარეს ჩაბარდებიან.

რედ.

მადლობის გამოცხადება.

მამო რედაქტორო!

— უმორჩილესად გთხოვთ ამ ორიოდ სიტყვას ადგილი დაუთმოთ პატივცემულს ვაზ. „შინაურ საქმეებში“. უღრმეს მადლობას უძღვნი, ჩოხატაურის უჩასტკის ბოქაულს ბატონს დიმიტრი გიორგისძეს კალანდაძეს, რომელმაც კეთილ ინება და შემოსწირა ჩემდამო რწმუნებულს მეწიეთის წმიდის გიორგის ეკლესიას შემდეგი ნივთები: ბურის საკურთხი, და ერთი საცეცხლოური ღირებული ოკდაათ მანეთად, აღუთქვა პასეჟის დღეებში სახმარო თანაარსის შემოსწირვაც.

მეწიეთის წმიდის გიორგის ეკლესიის მღვდელი სერაპიონ კალანდაძე.

მ. რედაქტორო!

მომეცით საშუალება თქვენი გაზეთის „შინაური საქ.“ მეოხებით გამოუცხადო უღრმესი მადლობა დიდათ პატივცემულ არქიმანდრიტ ნესტორს (ყუბანეიშვილს), რომელმაც კეთილ ინება და შემოსწირა ჩემდამო რწმუნებულ კუშუპოურის ჯვარცმის ეკლესიას ერთი ხელი სამღვდლო შესამოსელი. მღვდელი გერმანე გიორგაძე.

რედაქტორი მღვდელი **სიმონ მავალიძე.**
გამომცემელი **იოსებ ლეჟავა.**

1-ე заочные кулинарные курсы.

Полный курс лекций для самообучения „скромный и изящный, стол“, около 100 рецептов кушаний, напитков, печенья, компотов варений, сладких блюд, пирогов и друг. Слишком 300 стр. убористаго шрифта. Цена съ перес. налог. плат. 2 р. 60 к. НАСТАВЛЕНИЕ, какъ правильно вести домашнее хозяйство и приготовить экономическіе, вкусные и питательные обѣды съ приложениемъ разръзки мяса и украшенія стола и блюдъ около 100 стр. съ рисунками. Цена 1 р. 20 к. Обѣ книги вмѣстѣ 3 р. 35 к. (можно марками).

Съ заказами обращаться исключительно къ Я. К. ПЕТЕРСУ. С.-Петербургъ, Пет. стор., Большой пр. № 561—62

40 ДНЕЙ

!!! БЕЗПЛАТНО !!!

Если Вы въ теченіе 40 дней не выучитесь свободно говорить, читать, и писать по нѣмцки, французски, англійски и латински по нашему самоучителю, составлен. по новейшему методу (въсѣ другіе—реклама), деньги возвращаемъ обратно. Цена самоучителя одного языка съ перес. налоген. плат. 1 р. 10 к., 2-хъ—1 р. 90 к., 3-хъ—2 р. 80 к., 4-хъ—3 р. 65 к. Заказы исполн. един. складъ для всей Россіи, С.-Петербургъ, Петербург. стор. Большой пр., 56—567 Я. К. ПЕТЕРСЪ.